ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი—10 კ.




№ 35.—1914 2 ნოემბერი



**ავჭალის აუდიტორია,**

სადაც პირველად სახალხო წარმოდგენები დაიწყო.

თეატრი და ცხოვრება

№ 35

# შინაარსი:

1. **მეთაური**: ა) უძირო ორმო 1
 ბ) სად არის ძალა? „
2. **ბ. ახოსპირელი** — რა ვუყოთ? ლექსი ბაირონიდან 2
3. **ძველი მოთეატრე** — როგორი თეატრი შეგვფერის და როგორ ავაშენოთ? „
4. **ი. მჭედლიშვილი** — ბელგიური მელოდიები, ლექსი 4
5. **სანდრო შანშიაშვილი** — კახეთი (შესხმა) 5
6. **ი. კარგარეთელი** — ქვეყნის მანათობელნი: ფრ. შოპენი 7
7. **მთის ნიავი** — ნაწყვეტი, ლექსი 8
8. **გ. ქუჩიშვილი** — ორი დრო „
9. **ი. ჯიხაიშელი** — სამშობლოში, სურათი 9
10. **ს. ერთაწმინდელი** — განჭკრენ წუთნი „
11. **დრამატ. საზოგად. წლიური კრება** 10
12. **გ. ჯაბაური** — ქართულ სახალხო თეატრის ისტორია 12
13. **ქართული სახიობა**
 ა) **თეატრის მეზობარი** — ქუთაისის ქართული თეატრი
 ბ) **სტუდ. ნ. ტყემალაძე** — ქუთაისის მოწაფეთა საყურადღებოდ 14
 გ) **უსავანო** — სახალხო სახლი 15
 დ) **ი** — ხარფუხის კლუბი „
 ე) — **ერი** — ავლაბრის სახალხო თეატრი „
14. **წვრილი ამბები** 16
 **შარჟი** (კომპ. დ. არაყიშვილი), **ომში დაჭრილთა სურათები, შოპენი** და სხ.

## თეატრის აღსადგენად შემოწირულება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ-ნო რ-რო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს. 20-ს ღვინობისთვეს თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფის მოხელეთა შორის შეგროვილ იქმნა ქართულ თეატრის ასაშენებელ ფონდის სასარგებლოდ 59 მან. 75 კაპ. რასაც ამ წერილთან ერთად გაახლებთ, და გთხოვთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ შემწირველთ, რომელთაც არ დაიშურეს თავისი წვლილი ამ დიად საქმისთვის. შემომწირველთა სია: ი. მჭედლიშვილმა 10 მ. ნ. სემიონოვმა 2 მ. ი. ვ. ბურდულიშვილმა 1 მ. მ. ნ. ფირცხელაურისამ ბ. ბერიძემ, ა. სეხნიევმა, ნ. ი. კანდელაკისამ, დ. ე. მოზდოკელმა, ქ. ა. უანჩაველისამ, ე. ი. ბასიევისამ, თ. ი. მთვარელიძისამ, თ. ალექსეევისამ, თ. ბადრიევისამ, დ. ეპიტაშვილმა, ა. ნატრიაშვილმა, ვ. გვრიტიშვილმა, ბ. ჭკუასელიძემ, დ. მელნიკოვმა, გ. ივანოვმა, თ. შალალოვისამ, თ. თეთრაძისამ, ნ. ბახუტოვისამ, დ. გოგიაშვილმა, ე. კეხაოპულოსამ, ა. მიკირტიჩევმა, მ. ი. კობიევისამ, ა. თამარაშვილმა, ბ. ბ. სემიონოვმა, ჩერეპკოვმა, დავიდოვისამ, კ. ს. ღვინიაშვილმა თითო მანათი; თ. დ. ლოდაძისამ, ა. დ. სადკოვმა, ლ. გამცემლიძემ, ა. მურაჟკომ, ვ. დავიდოვმა, ბ. ბეჟანოვისამ, ა. ბ მაზურმა, ბ. კალნინმა, სპირიდონოვმა, ნონიკაშვილმა, ოსიპოვისამ, გლაგოლევისამ, იაკობოვმა, კაიდამმა, შევჩენკომ, ე. დ. ტერ-სტეფანოვისამ, ა. დიდზურაბოვმა, მ. ა. წინამძღვაროვისამ, გ. ქადაგიშვილმა, ი. ხვადაგაძემ, მ. დიდებულიძისამ მ. ხოშტარიისამ, მ. ნ. ჩილოვისამ, ა. გ ჩეგლოვსკისამ, ი. ნარიმამოვმა, ა. სტეფანოვმა, გ. ს. სურკოვმა, კ. გორშკოვისამ, ა. ტერდავითიანცმა, ვ. მორავსკიმ, ი. კარონეჟსკიმ, მ. ვტიფეევმა, ა. ბარინმა, ი მოვსესოვმა — ათ-ათი შაური; გ. კარაგიოზიანცმა 40 კ., ს. ბედიანიძემ, ბ. ხატისკაცმა და ე. სპევაკოვმა ექვს-ექვსი შაური. კ. მარისოვმა 25 კ. და დ. ივრისხეველმა 20 კ. სულ 59 მან. 75 კ.

**ვ. ღვინიაშვილი**

---

**ავლაბრის სახალხო თეატრი**

კვირას, 2 ნოემბერს 1914 წ. ავლაბრის ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ მსახიობ ი. ივანიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

# სამხედრო შანაპში

დრამა 4 მოქ. თარ, ა. იმედაშვილისა

**მონაწილეობენ**: ქ. მარგველიშვილი, ბ. ივანიძე, ჯიბლაძე, სულთანიშვილი, თავდგირიძე, ქიზიყელი, სალაყაია, ქვლივიძე, კახურაშვილი, გულისაშვილი, კობახიძე, მანჯავიძე და სხ.

**თეატრი გამთბარია და გაჩირაღდნებული**

დასაწყისი საღამოს **8** საათ.

რეჟ. **ი. ივანიძე** რეჟ. თან. **ი. რევაზიშვილი**

**ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი**

**ოთ. შაბათს, 5 ნოემბერს 1914 წ.** თბილ. ქართ. დრამ. დასის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ იქნება

# დღენი ჩვენი ცხოვრებისა

დრამ. 4 მოქ. ლ. ანდრეევისა, თარგ. ალ. იმედაშვილისა. მონაწილეობს მთელი დასი. ადგილების ფასი 10—1 მ. 20 კ.

დასაწყისი საღ. 8 ს

რეჟისორი **მ. ქორელი**

# თეატრი და ცხოვრება

№ 35

წ. II

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან"-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба" І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის" სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 35 | კვირა 2 გიორგობისთვე | 1914 წ.


## 2 გიორგობისთვე

**უძირო ორმო.** ვერ იქნა და ვეღარ მოიკიდა ფეხი!

ყოველ სეზონის დასასრულს ერთი და იგივე: ფული არა გვაქვს, გვიჭირს, დეფიციტია, გვიშველეთ..

და ამას დასასრული არ უჩანს!

ყოველ დღე, ყოველ კვირა ფულისთვის წანწალი, ყოველთვის იმის ფიქრი, აგერ-აგერ მოვალე თავს წამომადგება და არ ვიცი, რითი გავცე პასუხი,—ისეთი ლურსმანია ტვინისა, რომ არა თუ ხელოვნებაზე იფიქრო, მგონი გულდამშვიდებით სახლშიაც ვერ განისვენო!..

ამითი-კი ჩვენი სასცენო ხელოვნების განვითარება ბრკოლდება!

35 წლის ისტორია—და ასეთი სიღატაკე, შავი დღისთვის არც ერთი გროში—საზარელია!

ამიტომ ჩვენმა დრამ. საზ. მარტო იმაზე კი არ უნდა იფიქროს, როგორ დაფაროს გასული წლის დეფიციტი ვალები, არამედ იმაზედაც—უფრო უმეტესად—როგორ შექმნას ისეთი თანხა, ფონდი, რომელიც ქართულ დრამატიულ საზოგადოებას **დრამატიულ მდგომარეობიდან** გამოიყვანს, ყოველ სეზონში იმედებს არ გაუცრუებს და წლის ბოლოს მხოლოდ გატეხილ გეჯასთან არ მიიყვანს!..

———

**სად არის ძალა?** იყო დრო, როცა მთელი ერის სახელით ერთი წარჩინებული, უფლება-მოსილი წოდება ლაპარაკობდა: მისი სურვილი—ქვეყნის სურვილად იყო მიჩნეული, მისი საქმიანობა—ქვეყნის საქმიანობად. ეს წოდება ბატონობდა მთელს ჩვენს მწერლობასა და სხვა კულტურულ დაწესებულებებში მას შემდეგაც კი, რაც ჩვენი ერი ბატონყმობის მძიმე ბორკილებისგან განთავისუფლდა, ვაჭრობა-მრეწველობას გზა გაეხსნა, გლეხიც ადამიანად იქმნა ცნობილი და გუშინდელი მონა-ყმათა შვილებიც გამოვიდნენ სამწერლო-საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე.

თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც ძვირფასი დაწესებულებანი—ქართ. დრამ. საზოგად. წ. კ. ს. და სხვანი,—შევქმენით და ჯერაც არც ერთი მათგანი მკვიდრ ნიადაგზე არ არის დამყარებული: ერთიცა და მეორეც ძლივას ზოზინობს და ერთი თუ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის, მეორე—გარდა ამისა—უმოქმედობის მორევშია ჩაფლული.

მიზეზი?—

ესა თუ ის საზოგადო დაწესებულება, საერო საქმე მართლა მაშინ არის საზოგადო, საერო, როცა მასში მთელი ერია ჩაბმული თვისი წარმომადგენლებით, როდესაც იგი სხვადასხვა საქმეებით დატვირთულთა საზრუნავად კი არ არის გადაქცეული, არამედ ჩაბარებული აქვს მთელის ერის წარმომადგენელ მოსაქმეთ. ნამდვილად-კი ჩვენი დაწესებულებანი ჯერ კიდევ ერთგვარ კარ-ჩკეტილ ციხე-დარბაზებს წარმოადგენენ, რომელთა გამგემესვეურნიც წინად თუ მხოლოდ წოდებრივი უპირატესობით წარჩინებულნი (ვიტყვით, იმავე დროს ჭეშმარიტი მამულიშვილნი) იყვნენ, დღეს ასევე დაწინაურებულნი (მხოლოდ უცხო მოხელეობაში) უმეტესად სიტყვის ხალხნი, რომელიმე ჯგუფისაგან არჩეულნი.. ვერ ვიტყვით, მათი სურვილ-მისწრაფებანი კეთილშობილიური არ იყოს, მაგრამ საქმის წარსამართავად მხოლოდ სურვილი არა კმარა..

დღეს ჩვენი საზოგადოება, უკეთ რომ ვსთქვათ, ერი ის აღარ არის, რაც 20-30 წლის წინად: ცხოვრების სარბიელზე უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა მთელი წოდება ქართველ ვაჭარ-მრეწველთა, მუშა-ხელოსანთა, საშუალო ინტელიგენციისა და სხ., რომელთაც შეიძლება წარსულის წოდებრივი უპირატესობა არ ჰმოხვთ, მაგრამ ერში კი უფრო ღრმადა აქვთ ფესვები გადგმული, ვინაიდან თვით ერის შვილნი არიან, და მეტი თუ არა, არც ნაკლებ უპირატესობით მოსილნი. საქვეყნო საქმის საწარმოებლად კი მარტო ერთი წოდებრიობა, ერთი ჯგუფური მიზნით კარჩაკეტილობა არ გამოდგება. ამისათვის საჭიროა ძალა, საერთო ღირებულებად მიჩნეული, და ძალა ღვთიური! ეს ძალა-კი დღეს მხოლოდ ერთ წოდებაში კი არა, მთელ ქართველ ხალხშია—მოწინავე დემოკრატიულ თავ.-აზნაურთა შვილებში, ვაჭარ მრეწველებში, შეგნებულ გათვითცნობიერებულ მუშებში, გამოღვიძებულ გლეხებში და სხ.

აქედან ცხადია, რა გზას უნდა დავადგეთ, ვინ უნდა ჩავრიოთ საზოგადო საქმეში, თუ ვგსურს ჩვენი კულტურული დაწესებულებანი აღორძინების გზას დადგეს და ერთ წერტილზე არ გაიყინოს...

ბატონებო, თუ ერის სახელით ლაპარაკობთ და საქმობთ, თვით ამ ერის ნამდვილ შვილებსა და წარმომადგენლებს კეთებინეთ თვისი საქმე.

აი, რად არის ძალა ცხოველი!..

## რა ვუყოთ?

(ბაირონიდან)

რა ვუყოთ? თუ კი არ ძალგიძს ბრძოლა
შენი მამულის დასაცველადა,—
ნუ მოისვენებ... მეზობლისათვის
გასწი ამაყად ბრძოლის ველადა!...

***

რომს მოუპოვე ძველი დიდება,
საბერძნეთს თვისი დიდი უფლება;
გალესე ხმალი ძლევა-მოსილი,
სიკვდილი ანუ თავისუფლება!...

ვინც სხვისთვის კვდება და ვინცა ჰზიდა
ძნელ აღსავალ გზას წამების ჯვარი,—
ამას მიეძღვნის დაფნის გვირგვინი,
ის არის სულით შეუპოვარი!..

ბ. ახოსპირელი

# როგორი თეატრი შეგვფერის და როგორ ავაშენოთ?

თეატრის გადაწვით ქართველობას დიაღ რომ დიდი მარცხი მოუვიდა... ახლა ჩვენი ეროვნული თავისმოყვარეობა და გონებრივი მისწრაფება იმისდა უნდა გვიკარნახებდეს, რომ იგი მარცხი ახალით, უკეთესი თეატრის აშენებით გავიქარწყლოთ. ძველად ჩვენს ხალხს ბევრი მარცხი გადაუტანია, ბევრი აოხრებული აღუდგენია, და იმედია ახლა უფრო შეიძლებს ამას, მაგრამ ამ შეძლებას წინ საკმაო მოფიქრება და საჭირო სარისტა უნდა წაემძღვაროს. კარგად უნდა გავითვალისწინოთ, რომ თეატრი, ვითარცა ხელოვნების ტაძარი, საშვილიშვილო დაწესებულებაა; გარემოებით ჩვენზე ბედნიერი ერი მისს შექმნა-აშენებას მთელი საუკუნის განმავლობაში ერთხელ ძლივს ახერხებს; ჩვენ-კი, რისამე შექმნაში ჩვენს ანაბრად მიტოვებულნი, მასთან ქონებრივადაც უძლურნი, ერთხელ ძლივს შევიძლებთ ჩვენს სიცოცხლეში ამისთანა საქმის შესრულებას. ამიტომაც მისს ყველა მხარეს ამთავითვე უნდა გაეწიოს ბეჯითი ანგარიში; იმასაც, რომ იგი ასაშენებელია საქართველოს დედა-ქალაქში,—მაშ კარგი, თვალსაჩინო ადგილი უნდა აირჩეს ამისათვის და თვითონ შენობაც მშვენიერი და დიდებული უნდა იყოს; იმასაც, რომ თეატრი საშვილიშვილო შენობაა,—მაშ დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს როგორც ეხლანდელი მოთხოვნილებისა, ისე შორი მომავალი მოთხოვნილებისაც,—ამიტომ უნდა იყოს ფართო და ყოველმხრივ მოწყობილი; იმასაც, რომ უნდა იყოს ნამდვილი თეატრი, ნამდვილი ხუროთმოძღვრის გეგმისა და თანაც რაც შეიძლება ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ხასიათისა შიგნითაც და გარეთაც, რომ ქართული ელფერი ჰქონდეს. ერთი სიტყვით ახალი თეატრი უნდა იყოს ისეთი, რომ შემდეგში ვერავინ ვერავითარი ხინჯი ვერ მოუნახოს და ქართველს მისი რამ ნაკლი საბოლოოდ სანანური და სადარდელი არ გაუხდეს. ამისთანა თეატრის აშენებას კი დიდი ხარჯი უნდა. და აი ამ ხარჯის მოსაპოვებლად საჭიროა შესაფერი და ნამდვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახსრის გამოძებნა, ხოლო ამ სახსრის მოსაპოვებლად — ბეჯითი, თავგამოდებული მოქმედება.

ამ სახსარს მთელი ერი მისცემს, თუ მისი რომელიმე ნაწილი — სულ ერთია: **ხელოვნების ტაძარი** ვისი სახსრითაც უნდა იყოს აშენებული, იგი მაინც მუდამ საერთო და საეროა, რადგან ყველასთვის განურჩევლად და თანაბრად გამოსაყენებელია; იგი არც „არისტოკრატულია" და არც „დემოკრატული", არამედ არის საყოველთაო, „საზოგადო", — მხოლოდ უნდა იყოს ყველა ქართველის ჯიბისათვის შესაფერი და ხელმისაწვდომი ადგილებითა. ერთ მეტად საჭირო გარემოებასაც უნდა მიეპყრას ყურადღება, ახალი თეატრი უნდა აშენდეს იმ ერთი რამ დამატებით, რომ ქართულ წარმოდგენებს მასშივე გაკუჩინოთ სიცოცხლის ძალა და მით დრამატიული საზოგადოება, — რომლის სრულ გამგეობაში უნდა გადავიდეს იგი, — სამუდამოდ უზრუნველ ვყოთ წარმოდგენების მართვის საქმეში და მუდამ წლის სუბსიდიებისა რა შემწეობის ძებნისაგან მთლად გავანთავისუფლოთ.

ძველ ადგილზე მისი აშენება არა გზით არ შეიძლება, და არც ხელსაყრელია თავადაზნაურთა ქონებისათვის, რადგან თეატრის იქიდან მოშორებით, მას შეუძლიან ბევრად გააუკეთესოს თავისი ქარვასლა და ბევრად მეტი შემოსავალი მიიღოს იქიდამ, რაიცა ეგრედვე ყველა ქართველისათვის დიდად სასურველი და სასიამოვნო უნდა იყოს... მასთანავე ძველი ადგილი თეატრისთვის სულაც შეუფერებელია...

მაშ ახალი ადგილის მოძებნა არის საჭირო. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თეატრი მუდამ თვალსაჩინო ადგილზე შენდება, მაშასადამე ძვირფას ადგილზე, და იმასაც რომ ესეთს ადგილებზე უკვე შენობებია აგებული და იგი შენობები უფრო აძვირებენ იმისთანა ადგილებს, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ახალი თეატრის ასაშენებლად საჭირო ადგილში ერთი ორად და სამად მეტი ფასის გაღება იქნება საჭირო, მერე მისი გაწმენდაც ხარჯს მოითხოვს. ეს ანგარიში აუცილებლად იმ დასკვნამდის მიგვიყვანს, რომ ახალი თეატრის ასაშენებლად, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, მილიონ-ნახევარი მანათი მაინც დაგვჭირდება. დიაღ, ამოდენა ფული უნდა მოგროვდეს (იქნება მეტიც), რომ ნამდვილი, ეროვნული თავმოყვარეობისა და ამ დროის მოთხოვნილების შესაფერი თეატრი აგვიშენდეს — ისეთი, როგორიც შეეფერება საქართველოს დედაქალაქს.

თუ საზოგადოდ ყველა ჩვენს შენაწირავებს მივხედეთ, სხვა და სხვა სახელოვან მიცვალებულთა ფონდებს რომ ვეძახით, და თუნდა იმასაც რაც ამ ოცდა თხუთმეტ დღეში თეატრის აღსადგენად შემოვიდა, დავინახავთ, რომ ჩვენ ქართველები მართლა გრძნობის ხალხი ვართ და არა გონებისა; თითქმის ყველაფერში მხოლოდ პირველი შთაბეჭდილების გავლენით ვმოქმედებთ. შთაბეჭდილების გავლენა კი მუდამ ხანმოკლეა, რადგან ან სხვა ახალი შთაბეჭდილებით, ან თვითონ დროის განმავალობით ქარწყლდება. ამიტომაც არის, რომ რაიმე მიზეზით შთაგონებული განზრახვანი მალე დავიწყებას მიეცემიან და სულ მოკლე ხნის შემდეგ ჩვენს ფონდებში ფულის დენა შესწყდება ხოლმე. ამ მოვლენას რომ ჩავუკვირდეთ, დავინახავთ, რომ ყველა გვარს ჩვენი ფონდების შემოსავალს შემთხვევითი მოწყალების ხასიეთი უფრო აქვს, ვიდრე აუცილებელი შესაწირავისა — „მსხვერპლისა". თუ ახალი თეატრის ასაშენებლად ფულის გამოღებამაც „მოწყალების" ხასიეთი მიიღო, მისი აგების იმედი სათავეშივე გაჰქრება; ხოლო თუ იდეიური მისწრაფება დაედო საფუძვლად, მაშინ კი ორი წლის განმავლობაში მაინც შეიძლება მისი აშენება.

დიაღ, თეატრის ასაშენებლად მოწყალება კი არა — **მსხვერპლი** არის საჭირო და მასთანაც თავგამოდებული მსხვერპლი. ყველა თავმოყვარე შეგნებული ქართველი იმ აზრით უნდა გაიმსჭვალოს, რომ საზოგადო უბედურებას საერთო დახმარებით უნდა შველა. აქ ყველამ თავი უნდა გამოიდოს თავის ჯიბით, თავის ქონებით. მდიდარს ამისათვის თვის ცხოვრებაში არაფრის მოკლება არ



**კომპოზიტორი დ. არაყიშვილი**

... ხმა ჩემი მაინც ვერ უწევს
სამშობლოსა ჩემსა!..

დასჭირდება—დიდი მსხვერპლის მოტანაც ადვილია მისთვის; ხოლო საშუალო ქონებისამ ზოგი რამ საფუფუნებელი უნდა მოიკლოს და ამით გადარჩენილი, ანუ—გადაჭრით ვსთქვათ,—შემოსავლის ათის თავი თეატრის აშენებელ სალაროში შეიტანოს; ქართველმა მანდილოსნებმა, თუ ფულით არა, თავიანთ განძეული სამკაულიდამ შესწირონ ერთი რამ*) და მასთან ნაშრომ-ნახელსაქმარის ლატარია-ბაზრებით აგროვონ ფული; ზოგმა საგანგებო წარმოდგენები გამართოს აქ და სხვა ქალაქებში; კლუბებში მოთამაშეებმა მოგების ათის თავი გადასდვან; ქართულმა წარმოდგენებმა, ყველა დაბა-ქალაქში, ყველა წარმოდგენის შემოსავლის ნაწილი შესწირონ. ერთი სიტყვით ყველა ქართველმა ყველა შემთხვევაში ეძებოს ღონე **შეძლებაზე მეტი** გამოიღოს ქართული ხელოვნების ტაძრის აღსადგენად.

მოწყალების გაღებით არაფერი გაკეთდება. საჭიროა მსხვერპლი, მხოლოდ მსხვერპლი ..

**ძველი მოთეატრე**

*) სხვათა შორის ერთ ამ დროების გაგებიანობისათვის უფრო შეუფერებელს სამკაულზე მივუთითებ ქართველს მანდილოსნებს. იგი სამკაული ბევრმა უკვე უარჰყო, სხვებმაც რომ მიჰბაძონ და ყველამ თეატრს შესწირონ—ეს ამბავი ქართველ მანდილოსანთა ცხოვრებაში ისტორიულ ამბად დარჩება და თეატრსაც ამ მსხვეპლით დიდი თანხა შეუდგება. ეს სამკაული გახლავსთ—საყურეები. **ავტ.**

# ბელგიური მელოდიები

I

საფლავს ჩავიდა მზე გუშინდელი,
ის აღარ არის რაც იყო ძველად!
გუშინ სიცოცხლის მქადაგებელი,
დღეს აღმართულა სისხლის საღვრელად.
ის მიდის ბრძოლად იმ წმიდა ფიცით,
აღარ დაბრუნდეს ცოცხალი შინა,
თუ გამარჯვებამ მოწმენდილი ცით
დღე ცხოვრებისა არ გაუბრწყინა.
და სწამს თუნდ ერთი ბელგიელიცა
აღარ გადარჩეს ამბისა მთქმელად,
სამშობლო ცა და სამშობლო მიწა
აიდგმენ ენას გმირთ საქებლად.

II

დეე, ატირდეს ლამაზის თვალი,
თვით ქვეყანასაც დასჩემდეს კვნესა,
თუ კი სამშობლო თავისუფალი
ველარ შეხვდება მომავალ დღესა!

III

ჩამოაკვესეთ სიმს გლოვის ხმები
ამაქვითინეთ, ამამწუხარეთ:—
იქნებ, როდესაც მტერს შევაკვდები,
დამმარხონ სადმე, სამშობლოს გარეთ.
მაგრამ მის ტრფობა თან ჩამომყვება,
სადაც კი ბედი უწყალო დამფლავს,
და ზედ ყვავილად გადიფურჩქნება,—
იგი შეამკობს დაკარგულ საფლავს

IV

დანგრეულია საკურთხეველი,
მის ნანგრევებზე ხარხარებს მტერი,
ჰხარობს სიკვდილი, სიცოცხლის მკვლელი
მაგრამ სიკვდილის პირადაც ვმღერი.
ძმანო, ეგ ხმალი, ოხრად რომ გდია,
დამარხეთ ჩემთან და მგმობდეს ზეცა,
თუ კვლავ როდისმე აღსდგეს ბელგია
და მის საშველად არ აღვსდგე მეცა!..

V

წარხოცილია სამშობლოც მთლადა,
ქარმა მის კედლებს შემოუსტვინა
და, როგორც იმ ქარს, ბელგიელსაცა
აღარსადა აქვს თავისი ბინა.
შვებაც სამშობლოს ბედს გაჰყვა თანა,
ყოველიფერი წარვიდა, გაჰქრა;
ახლა აღარც ცა, აღარც ქვეყანა,—
არ არს სამშობლო, და არა არს-რა!

**ი. მჭედლიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახეთი

(ძღვნად ი. ბუქურაულსა და და-ძმებს სულხანიშვილებს)

არ აგზნებია მას გული
ზექვეყნიურის ალითა,
არც გამსჭვალულა წინაპრის
სიამაყით და ძალითა, —
ვისაც კახეთი-სამოთხე
ჯერ არ უნახავს თვალითა!

—

აღმოსავლეთით კავკასი
ზეცამდის ამაღლებული,
მიდის და მისდევს გრეხილი,
ერთმანეთს მიწებებული,
ზოგი კეკლუცად მზირალი
და ზოგიც ჩაფიქრებული,
მაღლა ღრუბელი მოშავო,
ძირს ნისლი მინაზებული.
ნაპრალთა შორის მდინარე
მოჰქუხს და მოეჩქარება,
კლდის ძირში ვიწრო ბილიკი
ბეწვის ხიდს დაედარება,
ალვანელ თუშსა მამაცსა
ფშავს, ხევსურს ძალუძს ტარება.
ფეხი დაგისხლტა?— მშვიდობით!
ღმერთიც ვერ დაგეხმარება!
უბსკრული არის ისეთი,
ჩახედვა შეგეზარება!
იქვეა მთანი ყვარლისა
ილიას სატრფიალონი,
ბარად კახელთა ვენახი,
და გვერდზე საბძელ-კალონი.
მთების გადაღმა მთებს შუა
საძოვარ-იალაღონი.
დაცხება, ცხვარი მიუდით,
მწყემსებს არა აქვთ საღონი!
ბარად რომ სჭკნება ყვავილი,
მრავალფრად მთაში იშლება.
იქ ღელე, სერი, ფერდობი
ნაზ სურნელებით ივსება.
ქიზიყელთა და მთიულთა
მწვანეზე ფარა იშლება.
შორს სალამური წკრიალებს,
გული ჰხარობს და იშვება!

—

ახლა ცივ გომბორს შეჰხედეთ,
კავკასის მოპირდაპირეს:
ადით მაღლა და დაჰხედეთ
ალაზნის ჭალა-ნაპირებს,
სჩანს ალავერდი ვარსკვლავად,
შენდამი სალამს აპირებს.
თვალს წარგიტყუებს მიდამო,
გულს აღტაცებით ატირებს.
ღუმილით დასცქერს ციხეებს
წინაპართ ნაამაგდარსა.
გარშემორტყმულსა გალავანს
უწინ ქართველთა საფარსა.
იგი ვერ დაუნგრევია
დროჟამსა, ვერცა ავდარსა.
სხვა განთიადი შეგვიცვლის
აწმყო დროებას წამხდარსა!

— —

აბა გაჰხედეთ ალაზანს,
ველად ვით მიიკლაკნება!
აწყურის თავში მქუხარებს,
ქიზიყის დასწვრივ უჩნდება.
მუხნარი გაუტეხავი
მის ნაპირებსა უხდება,
ხან ნისლი თეთრად დაჰფარავს,
ხან ჯანღი შავად ქუჩდება.
შემდეგ კვლავ გამოიდარებს,
არე-მიდამო შუქდება!
ძუძუს აწოვებს ალაზანს
გაღმა-გამოღმა მწვერვალნი,
წყალნი ეგრერიგ მორბიან,
თითქოს თმას ჰშლიდნენ მხევალნი
შუამთას მოწმენდილია,
დაბლა ჰკვესავენ ელვანი.
სდგას მუდროდ თეთრი ყაზბეგი,
თუნდ ბარად იყოს ღელვანი.

— —

კავკასიონის მთის ძირში
ღრუბლები აირევიან,
გადმოივლიან ალაზანს,
გომბორსა მოეხვევიან;
ვიდრე იქუხებს, მეზვრენი
ზარბაზნებს აგრიალებენ,
ზეცაც სჭექს, დაბლა ბარიცა,
სეტყვას არ დაიძალებენ!
გამოიდარებს. მზის სხივი
სველ მინდორს მოეფინება,
ნამი ბრჭყვიალებს მტევნებზე,
სულდგმულსა მოელხინება.
სჩანს ცისარტყელა ფერადი
ღრუბლიან მაღალ მთაზედა,
ქალნი მოდიან წყაროზე,
სურა ჰკიდიათ მხარზედა.
მოდიან, მოიმღერიან
მოხიბვლელს, ტურფა ხმაზედა.
ღამე ურმული მოისმის
ორღობის შარა გზაზედა!
ხან ნაზი არის კახეთი,
ხან კი — სასტიკი ბუნებით.
ხან მოკამკამებს ლაჟვარდი,
ხან მოქუშულა ღრუბლებით.
და იქ აღზრდილი შვილიცა
ასეა თვისის გუნებით.
იგი თამამი ვერ ჰნახო
თვით ჭირში დაძაბუნებით.

— —

ჭირი თუმც ბევრი უნახავს,
გულს არ გაიტეხს კახელი.
ორ მთასა შუა აღზრდილსა
იქვე დაჰრჩება სახელი.
ნანინა უთქვამს ალაზანს,
სტუმარი უყვარს მნახველი.
დაჩაგროს უცხომ? უმზირე,
როგორ მოჰკიდოს ხმალს ხელი.
წარსულნი თუმცა წარვიდნენ,
აქ მათნი სულნი რჩებიან,
უწინ ნაგრძნობნი სურვილნი
ხელახლად აღიგზნებიან,
აწმყოა ძველთა სამარე,
შვილნი ძეგლებად სდგებიან.
ძველთა დიდებას არ ვიგდებთ,
არც წყლულნი დაამდებიან!

— —

ჩემი სულის სიამაყე
კახეთია, ჩემი მხარე;
მან მე ნანა მიგალობა,
მან შემიშრო ცრემლი მწარე.
იქ ყრმამ პირველ შევხაროდი
ვარდზამბახსა ნორჩის გრძნობით:
იქვე ბულბულს მოვუსმენდი,
როს მოსთქვამდა ღამე ტრფობით.
ხშირად გომბორს მივმართავდი,
განვიცდიდი შვებას დიადს;
სერზე მდგომი შევხაროდი
გაზაფხულის მე განთიადს—
კავკასიის მთის მწვერვალებს
როს ალისფრად შეჰღებავდა,
როს თეთრ ნისლსა ალაზნისას
სხივის სვეტი უცხოდ რთავდა
და ტოროლა ცად ასული
ქებას გზნებით შეასხავდა.
ამ დროს ძალა ღვთაებრივი
თვით ჩემ სულში ფრთას ისხავდა
და რა გრძნობაც იქ მიმღერო,
ჭანგზე მძივად აასხავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სულის სიამაყე
კახეთია ჩემი მხარე!
მან მე ნანა მიგალობა,
მან შემიშრო ცრემლი მწარე.
და როს მოვკვდე, იქვე იყოს
ჩემი მიწა და სამარე!

— —

მშვენიერ კახეთს გადავყურებ
ცივ გომბორიდან
და ჩემს პირდაპირ კავკასიონს
მზე აფერადებს;
ხან მთის ღრუბლებში ზოლს გა-
ხან სპეტაკს ისარს, [ავლებს
ხან გადააფენს სადებავით
დაბასმულ ბადეს!
ალაზნის ველს კი უკვე ჰფარავს
ღამის ბინდ-ბუნდი,..
გრილი ნიავი თავზე დაჰქრის
ჭალას მძინარეს;
მხოლოდ ალაზანს ვერა ვხნახავთ
მყუდროებაში
მას ოდითგანვე იკლიბაკლოდ
ტყის პირს მდინარეს.
ის ნანას მღერის და ამ ნანით
ქართველს გულს უკლავს,
ამბობს: **რა უყავ** ის წარსული
შენთვის დიადი?
ხვალ ჩემს მიდამოს უხვად მოჰ-
მზე ცსოველ სხივებს, (ფენს
შენთვის კი, მითხარ, როდის დად-
გვლავ განთიადი? (გეს

— —

მთვარიან ღამეს კახეთი
რამ საოცნებო მხარეა.
ოლოლი ტყეში გაჰკივის,
იმისი კვნესა მწარეა.
გაგონებს ლტოლვას მიჯნურთან
ვინ მზეებრ მოელვარეა.
მთვარიან ღამეს კახეთი
საზღაპრო მგოსნის მხარეა.

— —

უთქვამთ: რად მიხვალ თელავში?
—უნდა ჭანდარი ვნახოვო:
ყანწით გადავკრათ კახური,
ჰქარალე შემოვძახოვო.
ტკბილ დუდუკს ჩავაბერვინებ,
წუთით ვივიწყებ ვარამსო;
ირაკლის ციხე ნანგრევებს
გრძნობით მივუძღვნი სალამსო.
ჭანდარო, ტოტებ გაშლილო,
ჭანდარო მრავალ ხნისაო,
შემოიკრიფავ მეგობრებს,
შავად აყენებ ჩრდილსაო,
ძირკვიდან წყარო გადმოგჩქებს,
ღვინოს მოგვაწვდი ცივსაო,
ვმღერით, შრიალით მიგვძახი:
ვინ მიეცემა ძილსაო!?

— —

გაზაფხულობით კახეთი
სამოთხის შესადარია,
ყოველი ჰყვავის, სუნს აბნევს,
მაღლა მთა, დაბლა ბარია.
შემოდგომობით ბუნება
სხვაგან თუ უკვე მკვდარია,
აქ ათასფერად ჭრელდება,
თითქოს კვლავ გაუხარია.
ქორწილი, ჟივილ-ხივილი
ამა სიტურფეს ერთვება,
მაჭარი სდუღს და გადმოდის,
დღე სიამისა თენდება.
კეკლუცნი იკაზმებიან
გამოვლენ კარზე სდგებიან,
გამვლელს მაყრიონს ღვინითა
და მწვადით ეგებებიან!
შემკული არის კახეთი
სიტურფით მრავალფერითა,
მოველ და დასტკბი, ერთგულო,
შეხმატკბილებულ მღერითა.
ჩაკრულოს გრძელსა სუფრულსა
ამბობენ ერმანი ჯერითა
ქალწულნი ჩამოართმევენ,—
სტკბები და სტკბები სმენითა.
არ იამაყოს ამ გულმა
ესდენ საყვარელ ერითა?
დამემსხვრეს ჩანგი, თუ მუდამ
მისთვის არ ვიქმნე ჟღერითა!

— —

ჩუ! დაჰკრეს სარი!
მისი ხმა წყნარი
ყურში ჩამტირის,
გვამცნობს ნათლებს!
გამოურკვეველს
ვეძლევი ნაღველს...
მაშ, აბა, თითოც!
ორი გახდება!

— —

აწ იყოს სმენა!
მოგვეცეს ლხენა!
კახეთი ჩვენი
როს განახლდება?
იყოს დღეგრძელი
ერი ქართველი...
მაშ, აბა, თითოც!
ორი გახდება!

— —

ვაშა ღვინოს
მოგვალხინოს!
ძალით სუსტნი
აღგვადგინოს,
რა დაგვათროს
მით გაგვართოს,
სიყვარული
გულს მოგვფინოს!
ვაშა ღვინოს,
კახურ ღვინოს!

— —

თუ წუთიერად
ჩვენს დარდს ვივიწყებთ,
და ღვინის ღმერთი
აწ გვახმოვანებს,
ხვალ, როგორც გუშინ,
საქმეს დავიწყებთ,
საერთო ზრახვა
აგვაფრთოვანებს!
თუ ჩვენს მამულსა
ძველთა აღთქმულსა,
დღეს მოკეთიდან
მტრულად დანთქმულსა,
ყურს არ მიუგდებთ,
უფრო წახდება;
მაშინ, ერთგულნო,
ვიღა რას გვარგებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ გაგვიქარვებს
წყლულის ღრმა დარდებს?
ვერც ვიტყვით: თითოც!
ორი გახდება!

. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .

კახეთო, ჩემო საუნჯევ,
როდის არ იყავ ქებული?
ვაი, დაგვიდგა ცუდი დრო
ჩვენვე ვართ ჩვენგან ვნებული!

ა. შანშიაშვილი

# ქვეყნის მანათობელნი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 34)

რაღაც უხილავმა ბუნების ძალამ მრავალჯერ დაასაჩუქრა კაცობრიობა დიდებული შემოქმედების ნიჭით აღჭურვილ პირებით. ეს კიდევ არაფერი: შეიძლება ნიჭი, ჯერ კიდევ აღუყვავებელი, ჩაიხშოს, ხოლო მრავალჯერ-კი, მიუხედავად ათასნაირ დამაბრკოლებელ გარემოებათა, შარავანდედით მბრწყინავი ნიჭი სძლევს ყოველივე დაბრკოლებას და ასრულებს იმ დანიშნულებას კაცობრიობის ისტორიაში, რაც მას მიუსაჯა მძლეთა-მძლე ბუნებამ. მრავალ დარგის ხელოვნებასა და მეცნიერებას ჰყოლია ამისთანა მბრწყინავი წარმომადგენელნი და ამაგალითებიც, ისტორიითა და უტყუარი საბუთებით აღნიშნულნი: პოლონეთის გამოჩენილი მემუსიკე ფრედერიკ შოპენი, ჯერ კიდევ ხუთის წლისა, თავის თანამემამულეთა ყურადღებას იპყრობდა. ვარშავაში დიდებულ არისტოკრატების სახლის კარები პატარა ფრედერიკისთვის მუდამ ღია იყო; აქ მას ხუთი-ექვსი წლის ყრმას ჰენიოსად სთვლიდენ; რვა წლისამ საჯაროდ მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო კონცერტში. ჯერ სანამ ანბანსა და წერას ისწავლიდა, იგი მუსიკის პატარ-პატარა თხზულებას სწერდა: რასაკვირველია, ბავშვის ამისთანა უნარს ყურადღებას არავინ აქცევდა, ხოლო შოპენი განაგრძობდა მეცადინეობას მასწავლებელთან როცა იგი თორმეტი წლისა შეიქმნა, მისმა მასწავლებელმა ცვინგლიმ უარი უთხრა გაკვეთილებზე თავის შეგირდს, რადგან ცვინგლიმ იგრძნო, რომ შოპენს ვეღარაფერს ასწავლიდა. შოპენი დიდებული დამკვრელი შეიქმნა, მას შეეძლო მთელი საათობით როიალზე ხმებით ოცნებობა. ფრედერიკ შოპენის მემატიანე, სხვათა შორის, ერთ პატარა ამბავს გვიამბობს, რომელიც კარგად ახასიათებს მის შემოქმედების ნიჭს. ერთხელ შოპენის დედ-მამა შინ არ იყო; მათი პაწია შვილები უსაზღვრო სიმხიარულესა და სიცელქეს მიეცნენ; იქამდის მივიდნენ, რომ აგერ, პატარა ცელქებს ერთმანეთისთვის უნდა ძალით და მუშტით გაეწიათ ანგარიში. ფრედერიკ შოპენმა იგრძნო რა, რომ პატარა ძმებსა და დებს შორის შეტაკება აუცილებელი ხდება, დაუძახა ყველას, დააყენა თავის ახლო და უთხრა ყური დეეგდოთ ზღაპრისათვის, რომელსაც იგი უამბობდა როიალზე დაკვრით. ფრედერიკიც შეუდგა დაკვრას, იგი ოცნებობდა და ხმათა ზღვის ტალღებზე დასცურავდა; ამ დაკვრაში იგი ხატავდა მურა მგელსაც, კუდ-გრძელა მელასაც, ქოტსაც, ბულბულსაც და სხ. როდესაც მშობლები მოულოდნელად შინ დაბრუნდნენ, ფრიად განცვიფრებულნი დარჩნენ ამ სურათის სანახაობით და ამისთანა კონცერტით.



ფრედერიკ შოპენი
პოლონეთის გამოჩენილი მუსიკოსი

შოპენის სამშობლოს, პოლონეთს, შავი დღეები დაუდგა,; მეზობლებმა თავისუფალ ხალხის ცხოვრებაზე გული იძვირეს, გარს შემოერტყნენ და თავისუფლება ხელიდან გამოჰგლიჯეს; თავისუფლების მოყვარული შოპენი სხვა მამულისშვილებთან ერთად სამშობლოდან გაძევებულ იქმნა; სხვა მიწა-წყალზე იგი იგლოვდა სამშობლოს და დამარხულ თავისუფლებას. ამ გლოვის გრძნობათა წყებას ხმების ძაძებში ჰმოსავდა; ამიტომაც შოპენის მთელი მუსიკა დაუსრულებელი ტრაგედიაა მაშინაც კი, როცა იგი მხიარულობს, მორევია მწარე ცრემლისა და მოთქმისა; შოპენმა უკანასკნელად გამოიტირა სამშობლო, მისი თავისუფლება „მარშ ფუნებრ"-ით დამარხა და „პრელიუდია" ზედ ცრემლათ დაადინა და მაშ თუ კაცს სამშობლო აქვს, თავის სამშობლო და ხალხისათვის თავისუფლება უღირს რამედ, მის გულში შოპენის სახელი წარიხოცება?

ი. კარგარეთელი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



კაპ. ალექსი გოგიტიძე



ჯარისკაცი ის. ქინქლაძე



პრაპორ. ივლიანე ჩახავა

# ომში



პრაპ. ი. პაპუაშვილი

## ნაწყვეტი

ცივი ქარი ჰქრის ..გაყვითლებული მჭკნარი ფოთლები ძირსა სცვივიან
და გულსაკლავად ასე ჰგოდებენ, ასე მოსთქვამენ, ასე ჰსჩივიან:
„ჩვენი სიცოცხლის საათმა დაჰკრა, აწ ადგილს უთმობთ ახალ წყებასა,
ხე სხვა ფოთლებით შეიმოსება, ჩვენ მივეცემით დავიწყებასა“..
გაივლის ჟამი, ეგ ცივი ქარი ჩემს სიცოცხლეშიც შეიპარება,
დასჭკნება ვარდი სიყმაწვილისა, გაჰქრება შვება და ნეტარება
მაგრამ არ მინდა ისე დავაჭკნო, ისე დავმარხო სწრაფვა სულისა,
რომ ვით ფოთლები გავხდე საგნადა მეც უმნიშვნელო სიბრალულისა!..

მთის ნიავი

## ორი დრო

ძღვნად კ. მაყაშვილს

—შ ე მ ო დ გ ო მ ა.

მზე ჩანელდა... ხევის ნისლი ნაპრალისკენ მიიჩქარის
შელონებულ დედა-მიწას აღარ ჰხვდება შუქი მთვარის...
მთა აოხრდა... ტყე ატირდა.. აქვითინდა ფიჭვ-ნაძვნარი...
შიშველ ველად გულ-საკვლელად აზუზუნდა ნიავ ქარი...
დასჭკნა ვარდი .. დასჭკნა მდელო... კვნესით სწყდება ხეს ფოთოლი ..
იცრიცება საქართველო... იცრიცება მწვანე მოლი...
მიდის ყველა... მიდის ნელა... მიდის, ჰქრება ნისლის ზოლი...
და ჩვენც ასე, ჩვენც ყოველ დღე, ვკვდებით, ვჰქრებით, როგორც ბოლი...

—ზ ა მ თ ა რ ი.

ცივა... ცივა... ჭაბუკ ზამთარს გაუშლია თეთრი ფრთები...
თეთრ ნაბადში გახვეულა მშობლიური ყვარლის მთები...
მგლოვიარობს კარ-მიდამო... მგლოვიარედ სჩანან ზვრები. .
აღარ ისმის არც ფეხის ხმა, არც ურმული, არც სხვა ხმები...
თოვლი.. თოვლი.. ჩემს გარშემო ველარ ვხედავ ფოთლილ ჭალებს...
ველარ ვხედავ ტყის ქალწულებს, ტყის მშვენიერ ზღ პრულ ალებს...
ვერც სიმწვანეს, ვერც ყვავილებს, ველარც სოფლის მორთულ ქალებს—
ველარ ვხედავ... ველარ... ველარ .. გულს სიცივე აკანკალებს...

გ. ქუჩიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



პოდ. ილარიონ ჯობავა



შტ.-კაპ. კარპეზ ანთაძე



პოდ. თ. ა. ხიდირბეგიშვილი
(მოკლული)



შტ.-კაპ. ნიკანდრი გოგი ტიძე

# დაჭრილნი

## სამშობლოში

.(სურათი)

ბურუსი ჰფარავს სოფელს, ყველაფერი მომკვდარა!..

ხეთ, რომელთაც შერჩენიათ ფოთოლი, თავი ძირს დაუხრიათ და საშინელის მოწყენით გამოიყურებიან...

მოშუადღევდა ნისლი ოდნავ შეირხა და გამოჩნდა ქოხი.

პირველ შეხედვით, ქოხში ცოცხალი არსება არ სჩანდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კარებს მოადგა ნახევრად შიშველა ბავშვი. იგი სტიროდა მწარედ! . მან დღეს პირველად იგრძნო უმამობა და სიმწარე ამა სოფლისა... „მშია, მშია“,... იძახის, მაგრამ ამაოდ: აღარსად არის მარჩენალი ოჯახის: იგიც გაჰყოლია საერთო ბედის წერას...

ქოხში სარეცელზე მიგდებულა შუახნის ქალი და სულთაბრძოლაშია. მას არ ძალუძს ანუგეშოს ნორჩი ბავშვი. ჰა, წამოამთქნარა უნდა, რაღაც სთქვას, მაგრამ ვერ ახერხებს...

ეზოში ალუბლის ხეზე მიბმულია ხბო. იგი მეტად მოხრილა წელში: აღარ იცოხნის და ი.ვალები დაუხუჭავს, გეგონებათ ცხოველსაც შეუტყვია გლოვა და ეგრე გაშეშებულაო.

შეღამდა . მდუმარება დაარღვია ნადირთა ღმუილმა...

**ი. ჯიხაიშელი**

## განჰქრენ წუთნი...

(თანამედროვე სურათი)

რკინის გზის სადგურის ბაქანი გაჭედილი იყო ხალხით, რომელიც აცილებდა თავისიანებს ბრძოლის ველზე. სამხედრო მატარებელი გამზადებული იდგა, ორთქლმავალი ქშინავდა.

ირეოდენ მგზავრები, ჩოჩქოლი იყო მოუსვენარი. მოხუცნი ძალზე დაღვრემილიყვნენ და მიმავალთ ულოცავდენ გზას მშვიდობისას და უსურვებდენ უვნებლად შინ დაბრუნებას. წვრილ-შვილის პატრონი დედები მწველი ქვითინით ეთხოვებოდენ ქმართ. შეყვარებულნი სატრფო—მიჯნურნი უკანასკნელად ეფიცებოდენ ერთგულებაზე შექეიფიანებული ტლუ ბიჭები მხიარულად მიმოდიოდენ; ზოგი მათგანი უკრავდა გარმონს და ზოგნი დამღეროდენ ხელი-ხელ გადახვეულნი, ქუდებს მაღლა ისვროდნენ ყიჟინით და ცეკვავდენ. ზოგნიც დაღვრემილი იდგენ მდუმარედ, ჩაფიქრებულნი და უკვდებოდათ გული მიმავალთ, რადგან აქა რჩებოდათ სამშობლო მხარე, ყველა ძვირფასი და მიდიოდენ შორს, შორს უცხოთა-შორის სისხლის საღვრელად. ვინ უწყის! ეღირსებოდათ კვლავ ნახვა აქ დაშთენილთა?..

მაყურებელი გამცილებელნი ამ სურათზე ვალალებდენ.

განმარტოვებით-კი იდგენ იარნი, კედელს ამოფარებულნი ეხვეოდენ, ჰკოცნიდენ ურთიერთს და სიტყვა ვერ ეპოვათ გამოსამშვიდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებლად. ქალს თვალები ცრემლით ევსებოდა და ვაჟი-კი კოცნით უშრობდა.

— ნუ სტირი თამრო! მოვალეობა მიწევს თავისკენ.

— ლადო! შენი ჭირიმე... მელირსება განა გიხილო კვალად?

— აბა რას ამბობ ჩემო ცუცუნო — ანუგეშებდა ვაჟი.—განა ვინც მიდის ყველა იქ კვდება?!

— არ დამივიწყო,— ევედრებოდა ქალი და მკერდზე ეკვროდა ათრთოლებული.

— თვალთა სინათლევ! თვით ტყვიის წვიმის ქვეშ შენი სახე მეყოლება ყოველ წუთს ფარად.

— ...და მე-კი სურათს, შენგნით მოძღვნილს მოსაგონებლად, გულზე ვატარებ.

ესენი რომ ამ საუბარში იყვნენ, მესამე ზარმა უკვე დაიწკრიალა, ორთქლმავალმა შეჰკივლა, დ იგუგუნა და მატარებელიც დაიძრა. ჟრიამულმა მოიცვა არე.

რა მიმავალი მატარებელი შენიშნეს, უკანასკნელად ეამბორენ მათი ბაგენი და განშორდენ.

— მშვიდობით საყვარელო!...—უთხრა ვაჟმა და გამოუდგა მატარებელს.

— ნახვამდის კარგო!..—მიუგო ქალმა გულის-ფანცქალით და ხელში ცხვირსახოცი აათრიალა.

მიჰქროდა მატარებელი, მისდევდა ვაჟი დაეწია და როს შეახტა საფეხურზე, ფეხი აუცდა და... ბორბლებმა ელვის სისწრაფით გადაუარეს.

— ოოჰ!!—შეჰღრიალა გულის საკლავად ფეხებ მოგლეჯილმა.

შემოეხვია ხალხი მრავალი.

— ნეტავი ბრძოლის ტიალ მინდორზე დამელია სული სახელოვნად, სადაც სატრფოს თვალთ, მოთქმითა მტირალთ ვერ შევხედავდი, და მახლობელთა მაგიერობას გამიწევდენ მყივარნი სვავნი. ოჰ! თამრო, საყვარელო თამრიკო...—

ეს-ღა სთქვა და დადუმდა საუკუნოდ.

თამრო-კი იდგა თმებ-გაწეწილი, მოულოდნელ ამბით ჭკუაზე შეშლილი და ხარხარებდა.

ნეტარნი ვითარც სიზმარნი—განჰქრენ წუთნი.

**ს. ერთაწმინდელი**

# დრამატ. საზოგად. წლიური კრება

პირველი სხდომა 26 დვინობისთვეს

ქართ დრამ. საზ-ბის წლიური კრება „ახალი კლუბის“ დარბაზში დაიწყო ნაშუადღევის პირველ საათზე. საზოგადოების თავმჯდომარემ **თ-დმა პ ი. თუმანიშვილმა** დამსწრეთ სთხოვა, კრების თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა **გ. დ ჟურული**, მდივნად **რ. დ. ბებიაშვილი.**

**თავჯდ. გ. დ. ჟურული.**— ჩვენი დრო მეტად მძიმეა. ქართველ ხალხს საერთო სახელმწიფო საქმეებს გარდა მრავალი შინაური საზრუნავი აქვს. სწორედ ახლა დაგვენთქა სამშობლო თეატრი, რომლის აღსადგენად თავისი წვლილი პირველად გამოჰგზავნეს ბრძოლის ველზე გასულმა ჩვენმა თანამემამულეებმა, რაიც იმის მომასწავებელია, რომ ქართულ თეატრის გადაწვა ჩვენთვის უდიდესი და თავზარდამცემი დანაკლისია, რომელიც ბრძოლაში ჩართულებმაც კი იგრძნეს. გაუმარჯოს ამ მეომართ, წარუგზავნოთ მათ კეთილი სურვილი და დავამტკიცოთ, რომ ჩვენ კავშირი არ გაგვიწყვეტია იმ ხალხთან, რომელიც თავის ძვირფას სისხლს ბრძოლის ველზე ღვრის.

გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ **მოკლულ მეომართა ხსოვნას.** (კრება ფეხზე სდგება). საანგარიშო წელს გარდაიცვალნენ მსახიობნი **კოტე მესხი** და **დესპინე ივანიძე**, რომელთაც დიდი ამაგი მიუძღვით ქართულ თეატრის წინაშე გთხოვთ, ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მათს ხსოვნას (კრება ასრულებს).

დღევანდელ კრების საგანია: 1) ხარჯთ-აღრიცხვა 1913—1914 წ. 2) 1914 წ. სათეატრო სეზონის წარმოება და 3) განსაკუთრებულ კომისიის არჩევა, სათეატრო შენობის აღსადგენად. დღეს განიხილება სეზონის საკითხი და არჩეულ იქნება სათეატრო კომისია, ხოლო ანგარიშისა და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გადაიდება შემდეგ კრებისათვის იმ მოსაზრებით, რომელსაც დრამატ. საზოგადოების გამგეობის წევრი ი. გედევანიშვილი მოგახსენებთ.

**ი. გედევანიშვილი.** როგორც მოგეხსენებათ, 25 სექტემბერს ქართული თეატრი გადაიწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა. მთელი მასალა და დოკუმენტები, რომელიც ანგარიშს შეეხებოდა, აქეთ-იქით გაიბნა. მათ შეგროვებას და ცნობაში მოყვანას დიდი დრო დასჭირდა, ანგარიში გვიან იქმნა შედგენილი და მისი დაბეჭდვა მხოლოდ გუშინ დასრულდა. სარევიზიო კომისიამ მისი განხილვა და მოხსენების შედგენა ვერ მოასწრო

(კრება ადგენს: შემდეგ კრებაზე განიხილოს ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა).

**თავმჯდომარე** — გთხოვთ, პირველად მსჯელობა იქონიოთ სათეატრო კომისიის შესახებ.

**ი. გედევანიშვილი** (გამგეობის წევრი). ქართ. თეატრის გადაწვის შემდეგ ქართველ საზოგადოებაში აღიძრა საერთო სურვილი ქართულ თეატრის აღდგენისა. საქმის განსახორციელებლად საჭირო იყო რაიმე ორგანიზაცია, რომელსაც გაეწია თაოსნობა თეატრის განახლებისათვის თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა, დრამატიულ გამგეობის წევრთა და ზოგიერთ მოღვაწის მონაწილეობით. გაიმართა წინასწარი თათბირი იმის გამოსარკვევად, თუ რაგვარი ორგანიზაცია უფრო შეეფერება განზრახულ საქმეს. გამოითქვა რამდენიმე აზრი. პირველთა აზრით ეს საქმე თავად-აზნაურობას უნდა ეკისრა. მეორენი საჭიროდ სთვლიდნენ თეატრის აღმადგენელ განსაკუთრებულ საზოგადოების დაარსებას, რომელსაც მეტი ავტორიტეტი ექნებოდა, რადგანაც იდგებოდა წოდებრივობისა და ჯგუფობის გარეშე. მესამეთა აზრით ასეთი ორგანიზაცია უნდა დაარსებულიყო ქართ. დრამ. საზოგადოებასთან. ამ წინადადების მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ დრამატიული საზოგადოება სწორედ ისეთი დაწესებულებაა, რომელიც წოდებისა და დასობის განსხვავების გარეშე მოქმედებს და თვის შემადგენლობით თითქმის მთელ ქართველ ერს აერთებს. ამ დაწესებულებას 35 წლის მოღვაწეობის წარსული აქვს სწორედ იმ სფეროში, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს თეატრის აღდგენის საქმესთან. ამის გამო საჭირო არ არის ახალ საზოგადოების დაარსება, მით უფრო, რომ ამ ახალ საზოგადოებაში წევრებად იქნებიან იგივე პირნი, რომელნიც დრამატიულ საზოგადოების წევრებად ირიცხებიან. რათა მეტი ავტორიტეტი მიეცეს განზრახულ ორგანიზაციას და იგი იყოს ნათელი გამომხატველი ქართველ ერის სახისა, — შესაფერი იქნება, დრამატიულ საზოგადოებასთან დაარსდეს ისეთი კომისია, რომელშიაც არჩეულნი იქნებიან წარმომადგენლები საქართველოს ყველა საგანმანათლებლო, საკულტურო, საფინანსო და სხვა საზოგადო დაწესებულებისა. თათბირმა მიიღო ეს აზრი კომისიის დაარსებისა დრამატიულ საზოგადოებასთან. ამ განზრახვათა განსახორციელებლად 5 ოქტომბერს სათავად აზნაურო სადეპუტატო საკრებულოში მოწვეულ იქმნა ქართულ საზოგადო დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელნი, აგრეთვე ზოგიერთი საზოგადო მოღვაწე. კრებამ მიიღო წინადადება დრამატიულ საზოგადოებასთან კომისიის დაარსების შესახებ და ერთხმად შემდეგი რეზოლუცია შეიმუშავა: „კრება სცნობს საჭიროდ, ქართულ თეატრის აღდგენისათვის დაარსდეს საერთო ქართული ორგანო და სხვადასხვა პრაქტიკულ მოსაზრების გამო სათანადოდ მიიჩნია, ამ ორგანიზაციის სახით შესდგეს ქართულ დრამატ. საზოგადოებასთან განსაკუთრებული კომისია ქართულ საგანმანათლებლო, საკულტურო და საფინანსო დაწესებულებათა და აგრეთვე პრესის წარმომადგენელთაგან, რომელნიც უნდა ირიცხებოდნენ ქართულ დრამატ. საზოგადოების წევრებად. ეს კომისია თანახმად ქართულ დრამატ. საზოგადოების წესდების მე-18 მუხლისა, ქართულ თეატრის აღდგენის საქმეს უნდა განაგებდეს ხსენებულ საზოგადოების გამგეობისგან სრულიად დამოუკიდებლად და თავის მოქმედებაში ემორჩილებოდეს დრამატიულ საზოგადოების, ზემოხსენებულ ქართულ საგანმანათლებლო-საკულტურო, საფინანსო დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთაგან შევსებულ საზოგადო კრებაზე, ამავე კრებაზე არჩეულ იქმნა სარეკომენდაციო კომისია, რომელსაც დაევალა სათეატრო კომისიის სიის შედგენა. 7 ოქტომბერს კრებამ მოისმინა სარეკომენდაციო კომისიის სია და მოიწონა კრებაზე განმარტებულ იქმნა, რომ ხსენებულ კომისიაში, თანახმად წესდებისა, უნდა ჩარიცხულ იქმნას დრამატ. საზოგადოების გამგეობის სრული შემადგენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა, რადგანაც ყოველი საქმე თეატრის შენობის აღდგენისა იურიდიულად გამგეობის სახელით უნდა კეთდებოდეს და პასუხისმგებლობა ედება, როგორც საზოგადოების მთავარ ორგანოს; მაშასადამე იგი ახლოს უნდა იდგეს საქმესთან. კრების უმცირესობა ამის წინააღმდეგი იყო. კრებამ აგრეთვე გამოსთქვა აზრი, რომ სათეატრო კომისიას მიენიჭოს უფლება იმისი, რომ თვისის თაოსნობით მოიწვიოს პროვინციიდან, ნამდვილ წევრის უფლებით ის პირნი და დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომელთაც საჭიროდ დაინახავს. კომისიამ უნდა მიიღოს თავის თავზე ფულის შეგროვება და წინასწარი მუშაობა რომელიც თეატრის აღდგენის საქმეს შეეხება. დასასრულ კრებამ საჭიროდ სცნო, შეცვლილ და განმარტებულ იქმნას დრამატ. საზოგადოების წესდების ის მუხლები, რომელიც შეეხება საზოგადოების უფლებას უძრავ ქონების შესაძენად. (დასასრულ წაიკითხა სარეკომენდაციო კომისიის მიერ შემუშავებული სია შემდეგ პირთა: მგოსანი აკაკი წერეთელი და მსახიობ-დრამატურგი თ-დი ალ. ივ. სუმბათაშვილი (კომისიის საპატიო თავმჯდომარეებად), თბ. გუბ. თავ.-აზნ. წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აფხაზი (კომისიის თავმჯდომარედ, წევრებად, თ-დი ნ. რ. ერისთავი, თ-დი პ. ი. თუმანიშვილი, თ-დი ნ. დ. ერისთავი, ვ. რ. ყიფიანი, გ. მ. ლასხიშვილი, გ. ნ. ყაზბეგი, ნ. ნ. ჟორდანია. ს. გ. ფირცხალავა, თ-დი დ. ვ. ვაჩნაძე, გ. ნ. დიასამიძე, გ. დ. ჟურული, ს. ი. ფორაქაშვილი, ა. მ. ძეგველოვი, განდეგილი—დომინიკა ერისთავისა, ი. ი. ზურაბიშვილი, გ. მ. გვაზავა, ნ. ი. ქარცივაძე, ვ. დ. ლამბაშიძე, ი. გ. გომართელი, ვ. ლ. გუნია, ა რ წუწუნავა, ნ. ს გოცირიძე, ე. ს. თაყაიშვილი, ა. ბ. ჭიჭინაძე, კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი, ა. მ. წერეთლისა, ზ. პ. ფალიაშვილი, ე. მ. წულუკიძისა, უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებათა ოთხივე დეპუტატი და ქართ. დრამ. გამგეობის შემადგენლობა).

**თავმჯ. გ. დ. ჟურული.** შესაძლებელია კომისიის თავმჯდომარეს თავ. კ. ნ. აფხაზს ჩვენგან დროებით წასვლა მოუხდეს: საჭიროა, თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.

(კრებამ სათეატრო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია თბ. მაზრის თავ.-აზნაურთა წინამძღოლი **თ-დი ა. მ. სუმბათაშვილი**)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# ქართულ სახალხო თეატრის ისტორია

(გაგრძელება.—იხ. „თ. და ც.“ № 29).

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ხურველობის გათავების შემდეგ 1892 წ. ხელოსანთა ამხანაგობა შეუდგა ძველებურად უბნებში წარმოდგენების მართვას. ამხანაგობას თან და თან ემატებოდნენ და ზემოთ დასახელებულ პირთ გარდა მოემატნენ იოსებ იმედაშვილი (ხაშმელი), დათიკო შველიძე და გიორგი მურმანიშვილი. ეს ამხანაგობა ხშირად მართავდა კრებებს ვასო თევდორაშვილის (ჯანიაშვილის) სახლში. წარმოდგენების საქმის კარგად მოსაწყობად, ამხანაგობამ დაინახა, რომ წარმოდგენების მოწყობას ფული სჭირდებოდა. ამისათვის ამხანაგობამ ერთ თავის კრებაზე გადასწყვიტა თვითეულ სცენის მოყვარეს თვეში 50 კაპ. გადაეხადა. ყველა წევრი პირნათლად ასრულებდა ამ დადგენილებას. ამხანაგობამ თავისვე შორის აირჩია კრების თავმჯდომარედ (მაშინ მოთავეს ვეძახდით) ვასო თევდორაშვილი, რეჟისორად იოსებ იმედაშვილი და მოლარედ ამირან. ნიკოლოსოვი. კრებამ დაავალა იოსებ იმედაშვილს წესდების შედგენა, რომელმაც მალე წესდება შეადგინა და კრებას წარუდგინა დასამტკიცებლად. კრებამ ეს წესდება მიიღო სამოქმედოდ. წესდებაში აღნიშნული იყო მიზანი ამხანაგობისა: იაფ-ფასიანი წარმოდგენების მართვა შერჩეული პიესების დადგმით (ფასი იყო 5 კ.—20 კ., პირველი პიესები—„არსენა“, „რაც გინახავს—ველარ ნახავ“, „პეპო“, „და-ძმა“, „ადვოკატები“ და სხ.), წარმოდგენების სამართავად მუდმივი ბინის შოვნა, სახალხო სცენასთან მუშათათვის სამკითხველოს დაფუძნება. წესდების ძალით სასტიკად აკრძალული იყო როლის უცოდინარობა, რეპეტეციაზე დაგვიანება, რეჟისორის წინააღმდეგობის გაწევა, ამა თუ იმ პიესაში როლის გამო უკმაყოფილება—რასაც რეჟისორი დაუნიშნავდა, უნდა შეესრულებინა. ვინც ყველა ამ ზემო ჩამოთვლილ წესს არ შეასრულებდა, ჯარიმად უნდა გადაეხადა 25 კაპ. ამხანაგობის თანხის გასაძლიერებლად. ამხანაგობა შეუდგა სხვადასხვა პირთაგან წიგნების შეკრება-შეძენას. გაზ. „ივერია“-ში იმ ხანად იოს. იმედაშვილმა ი. ხაშმელის ფსევდონიმით წერილიც კი მოათავსა

და ამაზე „Нов. Обоз." იყო ცნობა. ამ გვარად ბლომად წიგნები შეგროვდა, რომლებიც დათიკო შველიძის სახლში ინახებოდა.

ამხანაგობამ უკანასკნელი შინაურული წარმოდგენა გამართა დათიკო დოდაშვილის სახლში, საპიორთა ყაზარმის გვერდზე. წარმოდგენილი იყო „და-ძმა" ვ. გუნიასი, რასაც ხალხი ძრიელ ბევრი დაესწრო. ამ წარმოდგენისთვის საჭირო ტანისამოსი შეიკერა, ამხანაგობის შორის მოგროვილი ფულით. ამ ტანისამოსის შეკერვაში დიდი შრომა მიუძღვით ისაკა ძნელაშვილს და ამირანა ნიკოლოსოვს.

ამ ხანებში ამხანაგობას მოემატა ივანე ინასარიძე, იმერელ ტიპთა როლების ნიჭიერი ასრულებელი.

მართალია ამხანაგობას ძრიელ დიდი სურვილი ჰქონდა წარმოდგენების მართვისა, მაგრამ უბინაობა ძრიელ უშლიდა ხელს: სხვადასხვა ოთახებში ან ბალკონებში სცენის მოწყობა, სკამების შოვნა და სხვა ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი ამხანაგობას ძლიერ ხელს უშლიდა. მიუხედავად ამისა, ამხანაგობა მაინც გულით და სულით ეკიდებოდა წარმოდგენების მართვას. ყველანი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მუშაობდნენ, რადგან სახალხო თეატრი მიაჩნდათ ხალხის გათვითცნობიერების წყაროდ. ხალხი კი მუდამ იმდენი ესწრებოდა, რომ უადგილობისა გამო ბევრი უკან ბრუნდებოდა.

გადავიდეთ ახლა ავჭალის აუდიტორიაზე, რომელშიაც სამუდამოთ ჩაეყარა საძირკველი სახალხო თეატრს ზემოთ დასახელებულ ხელოსანთა ამხანაგობის მიერ.

ავჭალის ქუჩაზე ხამოვლის დროს ისაკა ძნელაშვილმა, გიორგი ჯაბაურმა და იოსებ იმედაშვილმა ყურადღება მიაქციეს ავჭალის ქუჩაზე აგებულ შენობას, რომელიც უქმად იყო დაგდებული. მხოლოდ მარტო კვირაობით იმართებოდა რუსული კითხვები ბუნდოვანის სურათებით. იმათ მაშინათვე მოუვიდათ აზრად ამ შენობით სარგებლობისა, ცოტა ხანი შეჩერდნენ, გარს შემოუარეს, ინატრეს შიგ წარმოდგენის დადგმა და შემდეგ გაუდგნენ გზას; უამბეს თავიანთ დანარჩენ ამხანაგებს, რომელთაც ძრიელ მოეწონათ მათი განზრახვა, თუმცა კი ეჭვობდნენ მის ხელში ჩაგდებას, მაგრამ მაინც გადასწყვიტეს გაეგოთ ყველაფერი.

ცდამ უნაყოფოთ არ ჩაუარათ: მალე გაიგეს,



**ავჭალის აუდიტორია,**

სადაც პირველად სახალხო წარმოდგენები დაიწყო
(1897 წ. გადაღებული)

რომ ეს შენობა ქალაქის თვითმართველობას ეკუთვნოდა, ხოლო განსვენებულ ექიმ სუ...დოვს ჰქონდა ჩაბარებული.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გ. ჯაბაური

# ქართული სახიობა

## ქუთაისის ქართული თეატრი

ოქტომბრის დასაწყისი ისეთივე ნაყოფიერი იყო ქუთაისში, როგორც სექტემბრის დამლევი. დასმა დიდი შნო და მუშაობა გამოიჩინა.

2 ოქტომბერს ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით დაიდგა ნიკ. შიუკაშვილის პიესა „ნაგავი", რომელმაც, როგორც ყველამ უწყით, შარშან თბილისში დიდი ალიაქოთი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებასა და პრესაში; უმრავლესობა პიესას სწუნობდა, უმცირესობა კი პიესაში ხედავდა ჩვენი ცხოვრების და განსაკუთრებით ჩვენი ინტელიგენციის სიდუხჭირეს.

ასეც მოხდა ქუთაისში. აქაც ორ ბანაკად გაიყო მაყურებელთა რიცხვი: პრესის წარმომადგენელნი და ინტელიგენციის ბელადები პიესას ჰგმობდნენ, ხოლო მათი მოწინააღმდეგენი კვერს უკრავდნენ პიესას და მასში გამოყვანილ ფაქტებს...

რაც შეეხება პიესის განსახიერებას სცენაზე, უნდა მოგახსენოთ, რომ იგი იყო იშვიათი, ყოვლად სრული და მხატვრული. შეუძლებელია დავივიწყოთ იმ ტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პებისა, რომელთაც დაგვისახეს ბ-მა გუნიამ და შალიკაშვილმა შეუდარებელი იყო მესხიშვილი მთავარი გმირის პეტრეს როლში, განსაკუთრებით კი უკანასკნელ მოქმედებაში—როცა ჭკუაზე შერყეულია.

4 ოქტომბერს, შაბათს წარმოდგენილი იყო იაფფასებში „ისმინე ისრაელ“ და ვოდეველი „რაც არ მერგება არ შემერგება“.

„ისმინე ისრაელში“ მთავარ როლს ასრულებდა ბ-ნი შალიკაშვილი და თუმცა პირველ მოქმედებაში მოისუსტებდა, მაგრამ მეორესა და მესამეში ფრთები გაშალა და ბევრს მსმენელს ცრემლი აფრქვევინა. საუცხოვო იყვნენ ნ. ჯავახიშვილი, მ. მდივანი და დ. მგალობლიშვილი.

წარმოდგენას ბევრი ადგილობრივი ებრაელი დაესწრო. ჩვენ დიდი მომხრე ვართ იმისა, რომ ქართველ ებრაელებისათვის შესაფერი პიესები იდგმებოდეს. სასურველია, ქართული კულტურა ებრაელთ შეეთვისოს მწერლობისა და ხელოვნების საშუალებით.

რაც შეეხება ვოდევილს, იგი ჩვენ პირველად ვნახეთ და გამოგიტყდებით, ისე არას დროს არ მოგვწონებია ტასო აბაშიძე—ღფრთოვანებული თამაშს რომ იტყვიან, სწორედ ის იყო!.. ძალზე სასაცილონი იყვნენ და საზოგადოებასაც ბევრს აცინებდნენ ციციშვილი, ურუშაძე, ქილარჯიშვილი და გუნია: ეს უკანასკნელი მოხუცი გენერლის როლში ძლივს ვიცანით, ისე გარდაქმნილიყო, გარეგნობით და ხმით.

მეორე დღეს, კვირას, ორი წერმოდგენა იყო გამართული: ერთი დილით „სიძე-სიმამრი“ კომედია და ვოდევილი „უბედური დებიუტი“. დილის წარმოდგენებს განსაკუთრებით მოზარდი თაობა ესწრება, რომელთაც ბილეთი ორ ორშაურად უჯდებათ. მადლობის ღირსია გამგეობა, რომ მოზარდ თაობისა და მდაბიო ხალხისათვის იაფ-ფასიან წარმოდგენებს ჰმართავს, მაგრამ საუბედუროდ გამგეობის კეთილი განზრახვა მიზანს ვერ აღწევს, რადგანაც იაფ-ფასიანებს უფრო ინტელიგენცია და შეძლებული ხალხი ესწრება. საჭიროა, საქმის ორგანიზაცია სხვაფრივ მოეწყოს და მდაბიო ხალხის ხვედრს მაძღრები არ ეტანებოდნენ.

საღამოს დადგეს ვ. ყიფიანის ისტორ. დრამა „ლევან სამეგრელოს მფლობელი“. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახალმა ტანსაცმელებმა და შესაფერმა დეკორაციებმა. ჩვენ ქუთათურები ამ მხრით სრულებით არა ვართ განებივრებულები; ჩვენი თეატრის დეკორაციები და მოწყობილობა დი_ი ხანია ნაგავში გადასაგდებია.

მოთამაშეთა შორის ხალხს ძრიელ მოეწონა დავითაშვილი, მდივანი (როლში ცოტათი სუსტობდა), ტასო აბაშიძე. ძალიან სცდილობდა და გონივრულად თამაშობდა დარეჯანის როლს ქილარჯიშვილი, მაგრამ აკლდა უმთავრესი—მომხიბვლელი ძალა, ქალური ჯადო, რითაც ასე მძლევარია დარეჯანი და რის წყალობითაც იმონებს ლევანს. ვაჟებში კარგები იყვნენ რეჟისორი შალიკაშვილი გიორგის როლში, მგალობლიშვილი არჩილის როლში, ურუშაძე სვიმონ გურიელის როლში. ბ-ნ გუნიას თამაშს ამ საღამოს აკლდა ძალა და ღონე მარტო მეოთხე მოქმედებაში იყო იგი კარგი, როცა თანდათან ნერვები ეშლება და გონიერებას ჰკარგავს.

ერთი შენიშვნა ბ-ნ გუნიას, რა ამბავია რომ იგი მუდამ ეჩხუბება მოკარნახეს? რა არის ეს? როლის უცოდინარობა თუ მოკარნახის უხეირობა? ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა გაგვხადონ მოწმედ კულისების უკან მომხდარ უწესოებისა!

**თეატრის მეგობარი**

**ქუთაისის მოწაფეთა საყურადღებოდ** 22 ოქტომბერს, ბ. შალიკაშვილის რეჟისორობით დასდგეს „ქრისტინე“. მე არ შევეხები არც პიესას და არც მსახიობთა თამაშს.

ვინც ქუთაისის თეატრში ყოფილა, ეცოდინება, რომ მეტ ნაწილს დამსწრე საზოგადოებისას ჩვენი მოწაფე ახალგაზრდობა შეადგენს. ამ საღამოსაც მოწაფეობა სჭარბობდა. რასაკვირველია, ფრიად ნასიამოვნები რჩები, როდესაც ხედავ მოზარდ თაობის ასეთ მეყიათ ქცევას ჩვენი ხელოვნების ტაძრისადმი, მაგრამ არ შეიძლება ესავე ითქვას 22 ოქტომბრის საღამოზე. ამ საღამოს მოწაფეთა დიდი უმეტესობის საქციელი ჩვეულებრივ სიმპატიას კი არა, ზიზღს იწვევდა თვისადმი. გეგონებოდათ-მოწაფეები განზრახ მოსულან, რომ ხელი შეუშალონ მსახიობთ მათ პასუხსაგებ საქმეშიო: დაუსრულებელი ჩიჩქოლი, ხმა მაღლა ლაპარაკი, ხუმრობა და სიცილი მოქმედობის დროს. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევდა მარცხენა ბალკონის გვერდი, სადაც მოწაფე ქალებსა აქვთ დათმობილი ადგილები. მეორე მოქმედების დროს, როდესაც დათია საყვახშმოდ მოუჯდა სუფრას, ვიღაც მოწაფე ქალმა ხმა მაღლა გადმოსძახა: „ჭამე ცეცხლიო“. ასეთი მაგალითი ხშირი იყო.

იმ დროს, როდესაც სცენა ტრაგიზმითაა სავსე, ბალკონიდან ისმის სიცილი და ხუმრობა.

თუ ვინმე დაწუნარებასა სთხოვდა, ატეხდებოდა დაუსრულებელი სისინი. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მსახიობს ხალისს უკარგავს. ანტრაქტების დროს დაიწყეს ქაღალდის ისრების სროლა ბალკონიდან (მოწ. ვაჟების მხრით) პარტერში, რასაც სხვა მოწაფენი მხიარული სიცილით შეხვდენ.

ერთი სიტყვით ამ საღამოს მოწაფეების საქციელი პირდაპირ აუტანელი იყო.

პიესის დასასრულს ვიღაც მოხუცმა ჩაილაპარაკა პარტერში: ეს დრამის აუდიტორიას კი არა, ცირკისასა ჰგავსო.

შეიძლება დამნაშავე მარტო ქუთაისის მოწაფენი არ იყვნენ, რადგან ახლა ქუთაისში სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქების მოწაფენიც არიან. მაგრამ ვინც უნდა იყვნენ, ეს სულ ერთია. საქმე იმაშია, რომ მოწაფენი ღირსეულ პატივისცემით ვერ ექცეოდნენ ხელოვნების ტაძარს. დიდათ სასირცხვო იქნება ჩვენთვის — მოსწავლე ახალგაზდობისათვის, რომ თეატრის გამგეობას ჩვენს წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღება დასჭირდეს. თეატრი ხელოვნების ტაძარია, ჩვენ იქ უნდა მივდიოდეთ იმ წმიდა ზნით, რომ იქ ვპოვოთ საზრდო სულისა. პატარა მოწაფეებს, რასაკვირველია, ეს არა აქვს შეგნებული, მაგრამ უფროს მოწაფეთა ვალია თავისი მაგალითით ასწავლონ უმცროსთ პატივისცემა თეატრისადმი, საჭიროა ყურადღება მიაქციონ მათ, რათა მათის უმგვანო ქცევით ტალახი არ წაეცხოს მთელს ჩვენს სიმპატიურ მოზარდ თაობას.

უფრო მეტის პატივსცემით მოექეცით თეატრს - ხელოვნების ტაძარს.

სტუდ. **ნიკო ტყემალაძე**

**სახალხო სახლში** სამშაბათს, 28 ღვინობისთვეს წარმოდგენილ იქმნა იუშკევიჩის პიესა „ქალაქში“, თარგ. ლ. ცაგარელისა. პიესა შეუფერებელი გამოდგა სახალხო სახლის მრევლისათვის. ამიტომაც ამ პიესას ძლიერ დრამატიული ადგილებიც-კი (რომლებიც დიალაც, ხელოვნურად იყო წარმოდგენილი) მაყურებელთა შორის სიცლსა და ორაზროვნულ წამოძახილს იწვევდა, მიუხედავად იმისა, რომ სახ. წარმ. გამგეობის სახელით დამსწრეთ სთხოვეს (წარმოდგენის დაწყებამდე)—წესიერება არ დაერღვიათ „რეპლიკებით“. ასეთ პიესებს სრულიად ადგილი არ უნდა ჰქონდეს ქართულ სახალხო სცენაზე: მშობელი დედის მიერ უმანკო ღვიძლი შვილების ქუჩაზე გაგზავნა—წადით, იმეძავეთ (სხეულით ივაჭრეთ), რომ ფუფუნებაში ვიცხოვროთო, ყოველგვარ სათნოების დაკარგვა, შვილის-შვილის— ოთხი თვის ჩვილის—გადაგდება, როდესაც არც დედას ემობა, არც პაპას, მეტის მეტია და ქართველი ბუნებისთვის შეუფერებელი: ქართველი დედა უმალ „ნაცარს აფშრუკავს“, წელებზე ფეხს დაიდგავს და ნამუსიანად გამოიყვანს ქალიშვილებს, პატრონს აუჩენს (გაათხოვებს), ვიდრე სავაჭროდ ბაზარზე გამოიყვანოს. სხვაგან, უცხოეთში დიდ სამრეწველო ქალაქებში (განსაკუთრებით, ებრაელთა შორის), ასეთ პიესებს იქნება გასავალიც ჰქონდეს, ვითარცა მათის ცხოვრების სურათს, ჩვენში ვი არა.

სამაგიეროდ დიდის ქების ღირსია რეჟისორი, ბ-ნი შათირიშვილი, პიესის მშვენიერად დადგმისათვის: თითქმის ყველა სცენის მოყვარეს, ორიოდეს გარდა, შეეგნო თვისი როლი. განსაკუთრებით საუცხოვო იყვნენ: ანნა ჩირგაძე (სონა), რომელმაც თვისის მაღალ ხელოვნურის თამაშით სრულის სინამდვილით განასახიერა გულქვა დედის მონა-მორჩილი, სინდისის ქენჯნით ტანჯული ადამიანის ხატება და ნ. გოცირიძე (გლანკი), ეს ნამდვილი ხელოვანი ა რ ტ ი ს ტ ი სცენისა. ელ. ციმაკურიძემ დასაწყისიდან დასასრულამდე გარეგნულად შესაფერის ელფერით დაგვისურათა გამხეცებული დედაკაცი, თუმცა მისი სულიერი განცდა, შინაგანი არსება სავსებით ვერ გარდაგვიშალა. ანკარა (ევა), თ. ყიფშიძე (ელკა) და გ. ანაშვილი (პაპა) მშვენიერნი იყვნენ და თითქმის არც ერთ შემთხვევაში არ დაურღვევიათ შთაბეჭდილების მთლიანობა. გ. ჯაბაურმა სავსებით ვერ სძლია ნაკისრს როლს: მისი ბოიმი ნახევრად ჩერჩეტს უფრო ჰგავდა, ვიდრე იდეალისტ-ებრაელს; ვერც ე. ნინიძემ გვიჩვენა უკეთესი მომავალის მოიმედე-მქადაგებელი ცხოვრების ბრძენი ბეერის სახიერება. ა. მეტრეველი (არნ) თ. ნარაკიძე (მაშკა) ანსამბლს ხელს უწყობდენ, ხოლო მეტი ბუნებრიობით რომ შეესრულებინათ როლები, სჯობდა.

წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. წარმოდგენა ნაშუაღამევს (12 ს. გადასული იყო) გათავდა რაც სასურველი არ არის: სახალხო წარმოდგენები 11 საათამდე მაინც უნდა თავდებოდეს, რომ მუშა-მშრომელმა ხალხმა მეორე დღისათვის დასვენებაც მოასწროს.

**უსავანო**

**ხარფუხის კლუბმა**, როგორც უკვე ვსწერდით, გადასწყვიტა თვის წევრთათვის მართოს გონივრული გასართობნი, სხვა და სხვა ენებზე და მათ შორის ქართული წარმოდგენებიც. მიზანი ფრიად მოსაწონია, თუ ღირსეულად განახორციელეს. ამ მიზნით გასულ შაბათს, 25 ღვინობისთვეს, მსახიობთა ი. ზარდალიშვილის, ქ. ან. შოთაძის, ა. ყალაბეგიშვილისა და ზ. ურშელის თაოსნობით წარმოგენილ იქმნა „საუბედურო დებიუტი“ და „ვაი ყობოს“. მსახიობთ კეთილსინდისიერად წარმოადგინეს ეს ვოდევილები და დამსწრენიც აცინეს, მაგრამ საჭიროა მხოლოდ სუბუქი პიესებით არ გაუმასპინძლდენ ხოლმე საზოგადოებას. ხალხი ნაკლებ დაესწრო,— ალბად იმიტომ, რომ ცუდი ამინდი იყო, პიესები უკვე გადაღეჭილი და ფასებიც ცოტა მძიმე (20 კ-ან 1 მანათამდე). სასურველია უკეთესი რეპერტუარი. **ი—**

**ავლაბრის სახალხო თეატრი** გასულ კვირას, 26 ღვინობისთვეს, თვის მრევლს ირეთელის „დამარცხებულნი“-ით გაუმასპინძლდა. პიესა სცენის მოყვარეებმა დასძლიეს,—ბევრი მათგანი ნამდვილ მსახიობს მოგაგონებდათ, მაგალითად მშვენივრათ ასრულებდენ ქეთოს — ქ. მარგველაშვილი, ნიკოიას—ჯიბლაძე, ნიკო ბერდიაშვილს —თავდგირიძე, ვანო ბერდიაშვილს— სულხანიშვილი, ჟანდარმის ოფიცერს მჭედლიშვილი, მაისურაძე—პუზოვს და სააკოვისა--დედას არა უჭირდა-რა ბ. რევაზოვსაც (ბალდანიძე), წარმოდგენა დაიდგა ი. რევაზის რეჟისორობით და გ. ბასილაშვილის გამგეობით. სასურველია მეტი ყურადღება მიაქციონ სახის ხატვას (გრიმებსა) და პარიკებს, შესაფერ ჩაცმულობას და აგრეთვე როლების დასწავლას.

წარმოდგენას უმეტესად მდაბიო ხალხი დაესწრო რომელთა შორის ზოგიერთნი წესიერებას არღვევდნენ-

მადლობის ღირსია გამგეობა, რომ სწორედ იქ მუშაობს სასცენო ასპარეზზე, საცა უფრო საჭიროა. მეტი წესიერების დაცვა ჰმართებთ: გათბობა, წარმოდგენის ადრე დაწყება და დროით გათავება. თვით დამსწრენიც უნდა ცდილობდენ სათეატრო დარბაზში წესიერება არ დაარღვიონ ხოლმე. **—ერი**

# წვრილი ამბები

## — საქართველოში

**ქართული დრამატიული დასი** დაითხოვნილ იქმნა. დასმა ამხანაგობის შედგინა სეზონის განსაგრძობად. პირვ. წარმოდ. 5 ნოემბერს.

**გამგეობა-დასის შესათახმებლად და საჭირო თანხის საშოვნელად** 30 ღვინობისთვეს დრამ. საზ. კრებამ აირჩია კომისია კნ. ან. ალ. მაჩაბლის თავმჯდომარეობით.

**სეზონის განსაგრძობად** კომისიის წევრმა ვაჭრმა მ. ა. აბაშიძემ განაცხადა—საჭირო თანხის შესადგენლად მივმართოთ საზოგადოების გულშემატკივართო. თავის მხრით ხუთი თუმანი აღუთქვა.

**ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობამ** დაადგინა ბრალმდებელს გადასცეს ბ-ნ არჩილ ავალიშვილის საქმე, რომელსაც დრამ. საზ. ფულის ფაფლანგვა ჰბრალდება.

**კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა** დაამთავრა თავისი ქართული ოპერა-ლეგენდა „თქმულება შოთა რუსთველზე", ერთ მოქმედებათ და ორ სურათად.

**მსახიობთა და მუშებს** რაც ჯამაგირი ერგებოდათ 25 ოქტომბრამდე, ქართ. დრამ. საზოგადოებამ სრულიად დაურიგა.

**იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა**: 1 დავ. ნახუცრიშვილის მოთხრობათა კრებული „ჯიუტები", და 2) იასე რაჭველის ახალი მოთხრობა „მარიანნა" (მეომრის ნაამბობი), ბელგიელთა ცხოვრებიდან. წიგნი დასურათებულია და თანამედროვე კითხვებს ეხება.

**საიათნოვას ლექსების** ცალკე წიგნად გამოცემას შეუდგა მგოსანი ი. გრიშაშვილი.

**ახალ კვირეულ ჟურნალის** „ბურნუთი"-ს გამოცემის უფლება მიიღო არჩ. ფარესიშვილმა. ჟურნალი ამ მოკლე ხანში გამოვა.

**ავჭალის აუდიტორიაში**, სადაც საძირკველი ჩაეყარა სახალხო წარმოდგენებს, სცენის მოყვარეთა ერთი ჯგუფი წარმოდგენების მართვას შეუდგა.

**ხაშურის ქარ. დრამ. საზ-ის გამგეობა** შეუდგა რეპერტუარის შემუშავებას ზამთრის სეზონისთვის. განზრახულია ორიგინალურ და ნათარგმნ ჯერ დაუდგმელ პიესების წარმოდგენა: „მეზობლები"ს, „ნიშანი ყოფა-ქცევაში"-ს, „ფული და ხარისხი" და სხ.

**ომიანობის გამო** ხაშურის დრამ. წრე დიდს კრიზისს განიცდის, რადგან ბევრი ჩვენის-მოყვარე ომში გაიწვიეს.

**ქართ. დრამ. საზოგადოების კრება** შესდგა გასულ კვირას, ორშაბათსა და ხუთშაბათს. დაწვრილებითი ანგარიში ჟურნალში იბეჭდება.

**რედაქცია** აუწყებს პატივცემულ თანამშრომელთ და კორესპონდენტთა, ფოსტით გამოგზავნილ დასაბეჭდ მასალებს კუთვნილი მარკები დააკრან, რომ ზედმეტ ხარჯებს აგვაცდინონ. რედაქცია ფასდაუდებულ (доплатной) წერილებს არ გამოისყიდის.

**საგაზეთო ბიბლიოთეკის** სასარგებლოდ დღეს „აპოლოს" თეატრში მასწავლებელ ქალთა საზოგადოება სინემატოგრაფს ჰმართავს. შემოსავლის ათისთავი გადაიდება ომში დაჭრილთათვის.

**გორის წ. კ. ს. განყოფილების** წლიურ კრებაზე ამორჩეულ იქმნა საგანგებო კომისია (ლ. გრიგოლაშვილი, ა. მელიქიშვილი და ნ. შიუკაშვილი), რომელსაც დაევალა ფულის შეკრება სათეატრო ფონდის სასარგებლოდ.

**თბილისში არსდება** რუსეთის სათეატრო საზოგადოების განყოფილება.

**ხარფუხის სახალხო წარმოდგენების** მმართველ წრის წლიური კრება შესდგა კვირას, 26 ოქტომბერს თ. კეკელიძის თავმჯდომარეობით და ი. ქიქიძის მდივნობით. გამგეობის წევრმა ბ. მეხუზლამ საზოგადო კრებას წარუდგინა მოხსენება წარსულ წლის მოქმედების შესახებ, რამაც კამათი გამოიწვია. ამორჩეულ იქმნა განსაკუთრებული სარევიზიო კომისია, რომელსაც დაევალა ხელ-მეორედ გადასინჯოს ანგარიშები და მომავალ კვირისთვის წარმოუდგინოს საზოგადო კრებას. შემდეგ გამგეობის წევრებად ერთხმად აირჩიეს: ბ-ნნი. გ. შათირიშვილი და ყ. მეხუზლა, კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ: ს. თითბერიძე, გ. პატიაშვილი, გ. იორდანიშვილი, ვ. კვიციანაძე და ნ. რაზმაძე; კანდიდატებად — რ. სალაყაია, მ. ხითარიშვილი და ზ. ნავთლუღელი. სარევიზიო კომისიის არჩევა გადაიდვა შემდეგ კრებისთვის.

**მუსიკოსი კ. ფოცხვერაშვილი** სასულიერო რუსულ-ქართული კონცერტის გამართვის სამზადისს უკვე შეუდგა და ყოველ დღე გუნდს ამეცადინებს „არტ. საზ. თეატრის" დარბაზში.

## რუსთა შორის

**თავმდაბალი გულუხვი ქველმოქმედი** გამოჩნდა რუსეთში, რომელმაც თავისი სახელგვარის გამოუმჟღავნებლად რუს. საიმპ. სათეატრო საზ-ოს 1000 მან. გაუგზავნა: აქედან 500 მ. დიმიტრიევის მიერ დაფუძნებულ სასადილოს გარდაეცეს, ხოლო 500 მ.—უმუშევრად დარჩენილ გაჭირვებულ მსახიობთ, ამათაც, როგორც ომიანობის მსხვერპლთო.

## მწიგნობრობა

მივიღეთ:

1) „ლექსები გ. ტაბიძისა" ტ. I, გამოცემა ტ. გვარამიასი, ქ. 1914 წ. 186 გვ. ფ. 60 კ. (იყიდება 50 კ.), ავტორის სურათით, მოკლე ბიოგრაფიით და ივ. გომართელის მიერ დაწერილი განხილვით (სევდის მგოსანი). ამ წიგნს ცალკე წერილს უძღვნით. 2) ლექსთა კრებული", შედგ.-გამოცემული იასონ კერესელიძისა, 48 გვ., ფ. 15 კ. კრებულში ჩვენი საუკეთესო მგოსანთა ლექსებია.

Дозволено военной цензурой. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

# ს ა ხ ა ლ ხ ო   ს ა ხ ლ ი

**სამშაბათს, 4 ნოემბერს 1914 წ.**

საზ. სახ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

# მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ი

პიესა ტრ. რაზიშვილისა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

---

**შაბათს. 8 ნოემბერს** გლეხთა განთავისუფლების სახსოვრად სახალხო თეატრის წრის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება:

## I ა რ ს ე ნ ა || II მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი

ალ. ყაზბეგისა. 1 მოქ. || ი. გედევანიშვილისა. 1 მოქ.

## III გლახა ჭრიაშვილი

ილ. ჭავჭავაძისა.

დასაწყისი საღ. 8 საათზე — რეჟისორი **კ. შათირიშვილი.**

მოიკითხეთ ყველა მეგაზეთეს-თან თბილისში გაზეთი

## ახალი ქართლი

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ—ხუთშაბათობით და კვირაობით. ცალკე ნომერი ერთი შაური, დაკვეთით წლის დამლევამდე ერთი მანათი. ხელის მოწერა მიიღება: ივ. ავალიშვილთან, წ. კ. გ. საზ. მაღაზიაში და გაზეთის თბილისელ აგენტთან —ვიქ. მექანარიშვილთან, დუშეთის ქუჩა № 21

# ხარფუხის საზოგადო კლუბი

7 ოქტომბრიდან გადავიდა საზამთრო სადგომში, აბანოს ქუჩაზე

**ტელ. 11 – 79**

| | |
|---|---|
| **დღეს, კვირას 2 ნოემბერს** | პროჟექტორი, მუსიკა. |
| **ორშაბათს 3 ნოემბერს** | პროჟექტორი. |
| **სამშაბათს 4 ნოემბერს** | მუსიკა. |
| **ოთხშაბათს 5 ნოემბერს** | საზანდარი. |
| **ხუთშაბათს 6 ნოემბერს** | მუსიკა; ცეკვა. |
| **პარასკევს 7 ნოემბერს** | საზანდარი; პროჟექტორი. |
| **შაბათს 8 ნოემბერს** | ქართული წარმოდგენა. |
| **კვირას 9 ნოემბერს** | მუსიკა; პროჟექტორი. |

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან მამაკაცები—25 კ., ქალები—10 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

კლუბი ყოველმხრივ მოწყობილია.

კლუბში გაიმართება **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო** და **ვოკალური საღამოები**




(წ.—34) —2

ექ. ვახტანგ ლამბაშიძის

## სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე

**ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე**

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლამბაშიძე ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

---

## ექიმები:

**ა. ო. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)

შინაგან ავადმყოფობათა.

დილით 8—10 ს., სალამოთი 5—7 ს.

წყნეთის ქ., № 19.

**კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.

გოლოვინის პრ., № 12.

**ვ. დ. ლამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ვარდის უბნის ქ. № 9.

**ნ. ე. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., სალამოთი 5—5 ს.

კიროჩნი ქ. № 18

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

**გ. ფ. ნათიშვილი**

ანისა, ვენერიული და სიფილისისა.

დილით $11^1/_2$—1 ს., სალამოთი 6—7 ს.

მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

---

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

**სინათლე** ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. ი. გედევანიშვილისა, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით.

**ფ. 30 კ.** ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба"—Іосифу Имедашвили.

(11—11)

**ახალი წიგნი**

ლექსები, სცენები და მოთხრობები

**ა. მ. ახნაზაროვისა**

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. **60** კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., **№ 5**, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(6—11)

---

**22 აგვისტ. გამოდის ყოველდღიური** საპოლიტ. და სალიტ. გაზეთი

## ახალი აზრი

**გაზეთი ღირს:** 1 წლით—7 მ., 6 თვით—4 მ. 3 თვით—2 მ. 50 კ., 1 თვით თბ.—80 თბ. გარეთ – 90 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი.
**კანტორის ადრესი:** Тифлисъ, Орбеліановская ул. № 36
**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:** Теофилу Марковичу Кекелидзе. Тифлисъ, Орбеліановская ул., № 36.
სხვა ადრესით ფულს რედ. ვერ მიიღებს რედაქციის კან. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილ. 12—1 ს., საღ. 5—6 ს.

---

## შრომა

**სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორშაბათობით.**

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.
**გაზეთის ფასი:** წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარეთ ორჯერ მეტი. ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома"

---

„სორაპანი"-ს გამოცემა

**დაიბეჭდა და გამოვიდა**

## ქართველი მწერლები

**შედგენილი ი. გომელაურის მიერ, ნაწ. I**

ფასი 80 კ.